სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი №8

ქ. თბილისი 15.05.2019

სხდომას ესწრებოდნენ:

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნოდარ პაპუკაშვილი - შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სამართლის დოქტორი, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
დევი ხვედელიანი - ა(ა)იპ - კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის მმართველი საბჭოს წევრი - საბჭოს მდივანი;
გრიგორ ტატიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, რევაზ დოღონაძის სახელობის თეორიულ კვლევათა ლაბორატორიის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
გიორგი სალუქვაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი, აკადემიური საბჭოს მდივანი;
ზაზა რუხაძე - შპს „ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის" ვიცე-პრეზიდენტი, სამართლის, სოციალური მეცნიერებებისა და დიპლომატიის სკოლის დეკანი;
ირაკლი მჭედლიშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
თინათინ კაიშაური - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი, ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;
თამარ ბაღდავაძე - შპს ,,ლენდ მარკ პროჯექტის" არქიტექტორი, ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ხელოვნების ლექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.

თეონა ხუფენია - რექტორი;
ბელა მოსია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ლატარია - ფაკულტეტის დეკანი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 17:15 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ პაპუკაშვილმა. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28^7-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სააპელაციო საჩივრის განხილვა;
2. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსი „მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა წარმოდგენილი არ ყოფილა, შესაბამისად საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს წარმოდგენილი დღის წესრიგი.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა რომ ერთდროულად მოხდებოდა დღის წესრიგით გათვალისწინებულ ორივე საკითხის განხილვა და მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა პოზიცია და წარმოედგინა არგუმენტაცია ორივე პროგრამასთან მიმართებით.

1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სააპელაციო საჩივრის განხილვა;
2. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სააპელაციო საჩივრის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და საჩივართან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით სიტყვა გადაეცა დაწესებულების წარმომადგენელს პოზიციის წარმოსადგენად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი ეხებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ 2018 წლის 28 ნოემბერს მიღებულ № 173 და N174 გადაწყვეტილებებს, რომლის თანახმად „ბინზესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით, ხოლო „მცირე ბიზნესის მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 1 წლის ვადით.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ორივე პროგრამასთან მიმართებით. მან განაცხადა, რომ „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამა წარმოდგენილი იყო რეაკრედიტაციის მიზნით მოდიფიცირებული ფორმატით, პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენდა ის, რომ მას გამოვლილი ჰქონდა რამოდენიმე გარე შეფასება, რაც გულისხმობდა აკრედიტაციის პროცესებს და გეგმიურ მონიტორინგს. სააკრედიტაციო განაცხადის წარმოდგენამდე, ერთი წლით ადრე, პროგრამაზე განხორციელდა გეგმიური მონიტორინგი, სადაც არ იქნა მიღებული რაიმე სახის უარყოფითი ან სარეკომენდაციო ხასიათის უკუკავშირი, გარდა იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ მითითებული იყო, რომ სასურველი იქნებოდა პროგრამას ჰქონოდა მაინორი და 120 კრედიტი ყოფილიყო ძირითადი კომპონენტი. პროგრამაში განხორციელებული ძირითადი ცვლილება ეხებოდა სტრუქტურულად ეხებოდა სწორად იმას, რომ გათვალისწინებული იქნა მაინორი და გაძლიერებული იქნა საუნივერსიტეტო საგნები. პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენდა დამსაქმებლების აქტიური ჩართულობა, მათი კურსდამთავრებულების უმეტესობა იყო დასაქმებული, ვინაიდან რეგიონში საკმაოდ კარგი მაჩვენებლები იყო დასაქმების.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საბოლოო ჯამში პროგრამის თაობაზე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა იყო დადებითი, თუმცა საბჭოზე დაფიქსირებული კითხვების მიხედვით გამოთქმული იყო მოსაზრებები სხვადსხვა კურსების თაობაზე, თუმცა მათთვის გაუგებარი იყო, რა მიზეზით მოხდა აკრედიტაციის საბჭოს მიერ სტანდარტის შეფასების დაწევა. ერთ-ერთი სტანდარტის შეფასება ჩამოწეული იქნა ორი საფეხურით, რაც თვით ექსპერტებისათვისაც იყო გაუგებარი. ექსპერტებს უწევდათ საკუთარი პოზიციის დაცვა და დამტკიცება თუ რატომ იქნა ესა თუ ის სტანდარტი შეფასებული სრულად ან ნაწილობრივად. არგუმენტირებული პოზიციის გამოთქმის საშუალება სამწუხაროდ არ მიეცათ არც დაწესებულებებს და არც საბჭოს წევრებს.

სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას შემდეგ რაც საბჭოზე გამოცხადდა შესვენება და საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და გამოაცხადეს გადაწყვეტილება, მათ არ განუმარტეს თუ რომელი სტანდარტი არ შეესაბამებოდა მოთხოვნებს და ფაქტიურად მათ არ მიეცათ კითხვის დასმის საშუალება. მათ ჰქონდათ ზოგადი პასუხი იმის თაობაზე, რომ მოხდა პირველი და მეორე სტანდარტის შეფასების დაწევა, თუმცა კონკრეტული მიზეზები მათთვის არ გაუცნია საბჭოს. აღსანიშნავი იყო, რომ სწავლის შედეგების რუკა დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა ახალი სახელმძღვანელოს მიხედვით, მარეგულირებელი

დოკუმენტები იყო მოწესრიგებული, ინტერნაციონალიზაციის საკითხი იყო უზრუნველყოფილი, რაც შეეხებოდა მეთოდებს, მათ ჰქონდათ ოთხი საერთაშორისო ინსტიტუციური განვითარების მიმართულება, ცალკე ჰქონდათ ლაბორატორია, ჰქონდათ სახელმძღვანელოები, მუდმივად მიმდინარეობდა ვერიფიკაცია რაც ადგილზე დაადასტურა ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელმა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმში არ იყო ასახული თუ რა არ შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.

საბჭოს წევრმა, ზაზა რუხაძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა მიერ შემუშავებულ დასკვნაში შეფასების შეცვლა აკრედიტაციის საბჭოს მიერ არ წარმოადგენდა საკვირველ მოვლენას, ვინაიდან დასკვნა არ იყო იმპერატიული საბჭოს წევრებისათვის, თუმცა მნიშვნელოვანი ფორმალური დარღვევა იკვეთებოდა იმ შემთხვევაში თუ დაწესებულების წარმომადგენლებს არ მიეცათ სხდომის მიმდინარეობისას საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალება. ასეთ შემთხვევაში თავად სააპელაციო საბჭოზე აღნიშნული საკითხების განხილვა და შინაარსზე საუბარი კარგავდა აზრს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს წევრებს არ დაუსვავთ დამაზუსტებელი კითხვები, როდესაც საკუთარ პოზიციას წარმოადგენდა დაწესებულების წარმომადგენელი, ფაქტიურად ეთანხმებოდნენ მათ მიერ წარმოდგენილ არგუმენტაციას და მათი მხრიდან უკმაყოფილება არ დაფიქსირებულა.

საბჭოს წევრი, გიორგი სალუქვაძე დაინტერესდა, როდესაც სხდომა მიდიოდა დასრულებისკენ, მოიოსმინა თუ არა საბჭომ დაწესებულების ბოლო კონტრარგუმენტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სხდომაზე გამოცხადდა შესვენება და როდესაც სხდომა განახლდა საბჭომ გამოუცხადა მათ გადაწყვეტილება. დაწესებულებას ბევრ კითხვაზე ესაჭირეობდა პასუხი საბჭოს წევრების მხრიდან, თუმცა ამის საშულება არ ყოფილა. სხდომის ოქმში ასევე არ ფიქსირდებოდა ჩანაწერი იმის თაობაზე თუ რა მიზეზით მოხდა სტანდარტის შეფასების დაწევა და არც უშუალოდ სხდომაზე განხილვის პროცესში არ გამოთქმულა მოსაზრებები აღნიშნულის შესახებ. ორ საკითხში აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარის მხარდაჭერაც კი ფიქსირდებოდა, კერძოდ როდესაც საუბარი იყო სახელმძღვანელოებზე, რომ სასურველი იყო დაწესებულებას ჰქონოდა 2019 წლის გამოცემები. საბჭოს თავმჯდომარის პოზიცია იყო, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტს არ ჰქონდა იმის საშუალება ყოველ წელს შეეძინა ახალი გამოცემა.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სერიოზულ ხარვეზს წარმოადგენდა განხილვის პროცესში ის გარემოება, რომ სააპელაციო საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა წინა აკრედიტაციის საბჭოს შემადგენლობის არცერთი წევრი.

საბჭოს წევრმა, ზაზა რუხაძემ განაცხადა, რომ წინა აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარე გახლდათ არსებული საკრედიტაციის საბჭოს წევრი და აუცილებელი იყო, ის როგორც მხარე დასწრებოდა სააპელაციო საბჭოს სხდომას.

დაწესებულების წარმომადგენელმა „მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საბჭოს სხდომაზე წარმოიშვა დავა კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. განხილვის მიმდინარეობისას საბჭოს წევრებმა დაიწყეს შედარება საქართველოს მცირე ბიზნესის ამერიკის მცირე ბიზნესთან, რაც სრულიად არ ჯდებოდა კონტექსტში. როდესაც თავდაპირველად დაწესებულებამ გააკეთა აღნიშნული პროგრამა, იმ დორინდელმა ცენტრის ხელმძღვანელმა მათ მისცა მითითება რეგიონში მეტი აქცენტი გაეკეთებინათ მცირე ბიზნესზე, შესაბამისად მათ მიიღეს გადაწყვეტილება გაეკეთებინათ არა მსხვილი ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა, არამედ მცირე ბიზნესის მართვა. აღსანიშნავი იყო, რომ დარგის სპეციალისტისაგან სხდომაზე დაწესებულებამ მიიღო მითითება, რომ უნდა ესწავლებინა საგნები მხოლოდ მცირე ბიზნესის ჭრილში, რაც არ იყო მართებული, ვინაიდან სტუდენტს უნდა ესწავლა, როგორც საშუალო ასევე მსხვილი ბიზნესიც. სტუდენტს ჩასატარებელი ექნებოდა კვლევა და უნდა ჰქონოდა შედარების გაკეთების უნარი. ასევე სხდომაზე გაჟღერებული იყო მოსაზრება, რომ მცირე ბიზნესის კვალიფიკაცია იყო მოგონილი და არ არსებობდა. აღსანისნავი იყო, რომ აღნისნული კავლიფიკაცია მითითებული იყო ჩარჩო დოკუმენტში არსებული კვალიფიკაციის მიხედვით, რომელიც მათი მოსაზრებით იყო მოკრძალებული წინადადება.

საბჭოს წევრმა, გიორგი სალუქვაძემ განაცხადა, რომ სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით შენიშვნას წარმოადგენდა ის, რომ არ იყო გამოყენებული ტერმინი „მცირე ბიზნესი“ ყველა საგანთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაში გათვალისწინებული იყო კურსები რომელსაც პირდაპირ ეწერა მცირე ბიზნესი. მაგალითად, PR მცირე ბიზნესში, რეკლამა მცირე ბიზნესში და ა.შ. დანარჩენ სილაბუსებში გარეთ არ იყო გამოტანილი პირდაპირ ტერმინი, თუმცა შიგნით 15 თემაში ჩაშლილი იყო მცირე ბიზნესის საკითხები. მცირე ბიზნესის კვალიფიკაცია ასევე შენარჩუნებული იყო ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოშიც.

საბჭოს წევრი, გრიგორ ტატიშვილი დაინტერესდა თუ სად იყო გავლებული ზღვარი მცირე და საშუალო ბიზნესს შორის, გამოითვლებოდა წლიური ბრუნვით, თუ განისაზღვრებოდა სხვა კრიტერიუმებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამერიკის მცირე ბიზნესი წარმოადგენდა საქართველოს მსხვილ ბიზნესს, შესაბამისად ასეთი შედარებების გაკეთება არ იქნებოდა რელევანტური. საბჭოს სხდომაზე საუბარი არ იყო იმაზე, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ვერ აღწევდა შედეგს.

საბჭოს წევრი, გრიგორ ტატიშვილი დაინტერესდა რითი იყო ახსნილი სტანდარტის დაწევა, ვინაიდან ოქმში არ იყო მოცემული განმარტება. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ოქმის შინაარსი დაცული იყო სრულად, თუმცა გარკვეული ელემენტები მათი შეპასუხებიდან აკლდა, რომელიც არ ცვლიდა შეფასებას და გადაწყვეტილებას. ოქმში არ იყო ასახული დასაბუთება მიღებული გადაწყვეტილების, რაც ასევე გადაწყვეტილების გამოცხადების დროსაც არ განემარტა დაწესებულებას. პროგრამა შედგენილი იყო 10 წლიანი გამოცდილების შედეგად და მორგებული იყო რეგიონის სპეციფიკას.

საბჭოს წევრმა, ზაზა რუხაძემ განაცხადა, რომ მას აინტერესებდა როგორ მოდიოდა თანხვედრაში საერთაშორისო კონფერენციები და ადგილობრივი თემატიკა. ასევე მას აინტერესებდა კონფერენციების ხარჯვითი ნაწილი როგორ იყო დარეგულირებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველაზე მასშტაბური საერთაშორისო კონფერენცია მათ ჰქონდათ 16 ქვეყნის 37 წარმომადგენელთან ერთად, რომლის მიმართულება იყო მონეტარული პოლიტიკის განხილვა. ასევე შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით მათ ჰქონდათ რამოდენიმე კონფერენცია, სადაც ჩართულები იყვნენ სტუდენტები და მათი ნაშრომები გამოცემული იქნა კრებულის სახით. კვლევებისთვის ყოველ წელს მათ დაწესებულებაში მტკიცდებოდა ბიუჯეტი, კვლევებისთვის გათვლილი იყო მთელი ბიუჯეტის 5 %, დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა ასევე შოთა რუსთაველის ფონდი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულების შემოსავლებით. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულების შემოსავალი აჭარბებდა მილიონ ლარს. უშუალოდ უნივერსიტეტის კვლევითი ბიუჯეტი შეადგენა 15 000 ლარს. სახელფასო ფონდი წარმოადგენდა 75% - ს. დაწესებულებას შემოტანილი ჰქონდა სწავლისა და კვლევის ინტეგრაცია, მათ ჰქონდათ საბაკალავრო ნაშრომი და შემაჯამებელი იყო სწორად კვლევითი პროექტის შეფასება. დაწესებულება ყოველ წელიწადს ზრუნავდა აღნიშნული კომპონენტის გაძლიერებაზე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ლიტერატაურის საკითხით, რომელზეც გაიმართა მსჯელობა აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გახლდნენ კონსორციუმის წევრები, ჰქონდათ წვდომა არაერთ საერთაშორისო ელექტრონულ ბიბლიოთეკებზე, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ სილაბუსში მითითებული ყოფილიყო რამოდენიმე განახლებული სახლემძღვანელო მისაღები იყო და არ ცვლიდა შედეგს.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მათ არ გაუუქმდათ აკრედიტაცია, არამედ მენიჭათ პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით, რაც გულისხმობდა იმას, რომ პროგრამა აგრძელებდა ფუნქციონირებას. მას აინტერესებდა, რატომ სურდა დაწესებულებას აპელაციის გზით პროგრამის ხელახლა განსახილველად დაბრუნება აკრედიტაციის საბჭოსთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პრინციპულად იმყოფებოდა მძიმე მდგომარეობაში, პროგრამას ჰქონდა დადებითი დასკვნა და ექსპერტიც კი ეკითხებოდა თუ რა მოხდა საბჭოს სხდომაზე საბოლოო შედეგების თვალსაზრისით. გადაწყვეტილება იყო რთული მისასმენი, პროგრამა მუდმივ რეჟიმში იხვეწებოდა, ჩართული იყო ექსპერტი, რომელიც მოიწვიეს თბილისიდან, გაზიარებული იქნა ყველანაირი გამოცდილება იმისათვის რომ პროგრამა ყოფილიყო გამართული და ადეკვატურად შეფასებული. მძიმე მოსასმენი იყო ასევე როდესაც საბჭოს წევრი ედავებოდა დარგის სპეციალისტს, იმის თაობაზე, რომ კონკრეტულ კურსს უნდა ჰქონოდა სხვანაირი სახელწოდება. საკითხი იყო პრინციპული დ ამ შემთხვევაში რექტორი იცავდა თავის პროფესორებს და მათ აკადემიურ თავისუფლებას.

საბჭოს წევრმა, გრიგორ ტატიშვილმა განაცხადა, რომ საბჭოს წევრებს ძირითადი კითხვები ჰქონდათ გადაწყვეტილების მიმღებ მხარესთან, ის რომ მიმდინარე სხდომაზე მხარე არ იყო წარმოდგენილი მათ არ აძლევდა საშუალებას დაენახათ სრული სურათი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და დაინტერესდა ფიქრობდა თუ არა დაწესებულება, რომ თუ საკითხები ხელახლა განსახილველად დაუბრუნდებოდა აკრედიტაციის საბჭოს, ისინიმიიღებდნენ 7 წლიან აკრედიტაციას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დარწმუნებული იყო, რომ „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამა მიიღებდა 7 წლიან აკრედიტაციას, რაც შეეხებოდა „მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო პროგრამას, შესაძლებელი იყო, რომ საბჭოს მხარი არ დაეჭირა და აქცენტი გაეკეთებინა კვლევების ხარისხზე.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აკრედიტაციის საბჭო პროცედურულად პროგრამას ხელმეორედ ვეღარ მიანიჭებდა პირობით აკრედიტაციას, შესაბამისად საბჭოს ან უნდა მიენიჭებინა პროგრამებისთვის აკრედიტაცია ან უარი ეთქვა აკრედიტაციაზე. ხელმოერედ მიღებული გადაწყვეტილება აღარ ექვემდებარებოდა სააპელაციო საბჭოს წინაშე გასაჩივრებას, დაწესებულებას შეეძლო მიემართა სასამართლოსთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და განაცხადა, რომ თუ დაწესებულებას ეჭვი ეპარებოდა, რომ „მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო პროგრამას შესაძლოა ვერ მიეღო სრული აკრედიტაცია, ხომ არ იქნებოდა უმჯობესი დაწესებულებას უარი ეთქვა სააპელაციო საჩივარზე აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებისაგან ითხოვა რამოდენიმე წუთი გადაწყვეტილების მისაღებად.

18:00 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 18:15 საათზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათი სურვილის იქნებოდა სააპელაციო საბჭოს „მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმარტებით ძალაში დაეტოვებინა და გაეზიარებინა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება, თუმცა მათთვის მისაღები იქნებოდა სააპელაციო საბჭოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28[7]-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „მცირე ბიზნესის მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 1
წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28[7]-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, გაზიარებულ იქნას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 28 ნომბრის №174 გადაწყვეტილება სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „მცირე ბიზნესის მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა 18:40 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე:
ნოდარ პაპუკაშვილი

მდივანი:
დევი ხვედელიანი